ოთხშაბათი, 11 ივლისი 1907 წ.

წელიწადი პირველი № 149

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივლისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 50 კ. მეტი.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. ტფილისს გარედ—4 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—6 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

9 ივლისს ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა

**კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე იოსელიანი**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **თეოდოსია მიხეილის ასული**, შვილები **მარიამ, ნიკოლოოზ, ასინეტა, პოლიკარპე, მარიამ და ალექსანდრე კონსტანტინეს ასულნი და ძენი**, რძალი **ნინო იაკობის ასული იოსელიანები** და სიძე **რამინ იოსების ძე ლომინაძე**.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება დანიშნული. (1—203—1)

## კახელ მევენახეთა საზოგადოების „კახეთის"

გამგეობა აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ ჟამად საზოგადოებას ბლომად აქვს გასასყიდად ბოთლობით ღვინო. მსურველმა უნდა მიმართოს საზოგადოების კანტორას, ერევნის მოედანზე და მთავარ საწყობს გოგოლის ქუჩაზე. (3—200—2)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—83)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნ მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—180—10)

ექიმი
**მ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (36)

**ქუთაისში**
ექიმი მაჭავარიანი.
მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოვისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—39)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განაზა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—132

## „ახალი ქვეყნის"

კანტორა და რედაქცია იმყოფება **სემენოვის ქუჩაზე, სახლი** № 4. კანტორა ღიაა 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

რედაქცია პირად მოსალაპარაკებლათ ღებულობს 11—1 საათამდე. (2—1)

21/6-65 № 1

## ტფილისი, 11 ივლისი

აღსანიშნავია გუშინდელი დეპეშა სამხედრო სასამართლოს დებულების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

მეორე სათათბიროს დათხოვნისთანავე გავრცელდა ხმა, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს აღადგინოს სამხედრო-საველე სასამართლოები. ეს ხმა ბევრს არ სჯეროდა და ოფიციოზური პრესსაც უარჰყოფდა. ექვსი თვის პრაქტიკამ ერთობ ნათლად დაამტკიცა „მსწრაფლ-მსროლელი სასამართლოების" უვარგისობა. არავითარი გარანტია მსაჯულებისა დაცული არ იყო; ყოველი იურიდიული მოთხოვნა, წესიერად სიმართლის გამოსარკვევად და ბრალდებულის ინტერესის დასაცველად საჭირო, დათრგუნვილი იყო და გასაკვირველი არაა, რომ გახშირდა „სამწუხარო იურიდიული შეცდომები", რომელთა წყალობით რამდენიმე უდანაშაულო წუთისოფელს გამოასალმეს.

მეორეს მხრით გამოირკვა ისიც, რომ სამხედრო-საველე სასამართლომ ის იმედიც ვერ გაამართლა, რომელმაც მისი დაწყება გამოიწვია. ბიუროკრატია არ დასჯერდა იმ ღონისძიებათ, რომელიც ბევრი აქვს ხელში რეპრესიების გასაძლიერებლად და უკიდურესი საშუალება მოითხოვა: ომის დროის სასამართლო წესების შემოღება „რევოლიუციასთან საბრძოლველად". მისი იმედი არ გამართლდა ომის დროის სასამართლო წესებმა ვერც „რევოლიუციის მოსპობა" გაადვილეს, ვერც ექსპროპრიატორები დააშინეს. თვით მთავრობა, როგორც მაშინ ეგონა ყველას, 6 თვის პრაქტიკის შემდეგ დარწმუნდა სამხედრო-სასამართლოების უვარგისობაში და ამიტომ სათათბიროსაგან არ მოუთხოვია მათი დაკანონება.

მაგრამ გუშინდელი დეპეშა სრულებით წინააღმდეგს გვეუბნება. მთავრობისათვის გამოცდას უნაყოფოდ ჩაუვლია, მას კიდევ დიდი რწმენა დარჩენია სამხედრო-საველე სასამართლოებისა და კიდევ აპირებს ამ იარაღის ხელში აღებას. რადგან პირდაპირ სამხედრო-საველე სასამართლოების აღდგენა უხერხულად უცვნიათ, სამხედრო სამართლის დებულებაში შეუტანიათ შესაფერი ცვლილებანი და ამ გზით თითქმის აღუდგენიათ „მსწრაფლ-მსროლელი სამსჯავროები". ცვლილება სწორედ იმ მუხლთ შეჰხებია, რომელნიც თუმცა ძრიელ სუსტად, მაგრამ მაინც გარანტიას წარმოადგენენ ბრალდებულის ინტერესის დაცვის საქმეში. ახალი წესით, გამოძიების შემდეგ პროკურორმა 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს სათანადო სამხედრო უფროსს თავისი აზრი, უფროსმაც ერთ დღეში უნდა მისცეს საქმეს სვლელობა და ერთ დღეშივე საბრალდებლო ოქმი უნდა წარუდგინოს სასამართლოს; ბრალდებულს ერთი დღის ვადა ეძლევა ახალ მოწმეთა გამოსაწვევად; საქმე უნდა გაირჩეს არა უგვიანეს ორის დღისა საბრალმდებლო ოქმის მიცემის შემდეგ; კასსაციისთვის ვადაც ერთი დღეა; სრული განაჩენიც სამხედრო სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს და გამოაცხადოს. დღემდის არსებულის წესით, კასსაციის ვადა ორი კვირა იყო, დამთავრებულ განაჩენის გამოცხადებისაც—ორი კვირა, დამატებით მოწმეების გამოსაწვევად ბრალდებულს ერთი კვირის ვადა ეძლეოდა და სხვა. შეადარეთ „ახალი ცვლილებანი" ამ ძველ კანონთან და თქვენ დაინახავთ, რომ ცვლილება დიდი და რადიკალურია; იგი თითქმის აღადგენს სამხედრო-საველე სასამართლოებს.

მთავრობა არაფრად აგდებს არც გამოცდილებას, არც საზოგადოებრივ აზრს, არაფრად აგდებს იმ გარემოებას, რომ ესოდენ გაძლიერებული რეპრესსიები უფრო ამწვავებენ მდგომარეობას; წუთიერ გამარჯვებისთვის არაფერს ზოგავს, მომავალისთვის ხომ რუსეთის დღევანდელ მმართველთ გული არ შესტკივათ...

## ახალი ამბავი

✦ **სამხედრო საოლქო სასამართლო.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრაში შეპყრობილნი: ივანე ქრისტესიაშვილი, ზაქარია გონიძე, ილია წიკლაური, წკრიალაშვილი და ბიძინა კაპანაძე. ამათ აბრალებენ გორის მაზრაში სხვა და სხვა მკვლელობას და თავდასხმას. სხვათა შორის ჰბრალდებათ მკვლელობა: თავ. ესტატე თუმანიშვილისა, ალექსანდრე თანდიაშვილისა, ზაქარია მარანელისა, მიხეილ ქსურუნაშვილისა, ივანე ქარსიძისა, გიტა ხუბულურისა, ვასილ ჩუბინაშვილისა, ხურვალეთის მამასახლისის დიმიტრი ხუროშვილისა და სხვებისა.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან: სამხედრო წესების მოხსნამდე—გორელი ნიკოლოოზ გვარამაძე, რომელსაც აბრალებენ ს.-დემოკრატების მებრძოლ ორგანიზაციის წევრობას, სამის წლით—თელავის საპყრობილეში დატუსაღებულნი ალვანელნი ისააკ და შიო გორგიაშვილები და ლეო ბეხოიძე, რომელთაც ძარცვა-გლეჯა ჰბრალდებათ. აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება: ქიზიყელს ივანე შოშიტაშვილს, შუშელს გ. ტერ-გრიქოროვს და სპარსელს სულეიმან იაკობ ოღლის. დაიკეტა ტფილისში დუქნები ბ. კარაპეტოვისა, ბ. სტეფანოვისა და ზოსიმე საგანელიძისა, რომელთა დუქნების მახლობლადაც მოჰკლეს რკინის გზის მოიჯარადრე ლუკა სულაქველიძე. ხუთის თუმნით დააჯარიმეს ნაძალადევში მედუქნე გ. გრიქუროვი პატენტის არ აღებისთვის.

✦ **კონცერტი გორში.** შაბათს, 14 ივლისს საღამოთი, ქ. გორში გაიმართება კონცერტი ვაჟთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ, კონცერტზე მიწვეულია ქართული გუნდი ალ. კავსაძისა. გუნდი შეასრულებს როგორც ქართლ-კახურ, ისე ევროპიულს სიმღერებს. კვირას ამავე ხოროს აზრადა აქვს გამართოს გორში საკუთარი კონცერტი.

✦ **ეტლი, რომელშიაც მოჰკლეს გენერლები გრიაზნოვი და ალიხანოვი.** როგორც „გოლოს გავკ." გადმოგვცემს, გენერალი ალიხანოვი სწორედ იმ ეტლში მოუკლავთ, რომელშიც ტფილისში მოჰკლეს გენერალი გრიაზნოვი. ეს ეტლი ეკუთვნის თურმე ყაბარდოს პოლკს.

✦ **სომხეთა დრამატიული დ.-სი.** სომეხ არტისტ ქ-ლს სირანუშს აზრადა აქვს შეადგინოს დრამატიული დასი და წავიდეს ევროპასა, ამერიკასა და ეგვიპეტში სომხური წარმოდგენების გასამართავად.

✦ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** 25 ივლისისათვის დაინიშნა საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, რომელმაც უნდა განიხილოს გამგეობის მოქმედების ანგარიში, რამდენიმე საკითხი და აირჩიოს გამგეობის ახალი წევრები.

✦ **დასაფლავება.** გუშინ, 10 ივლისს, დაკრძალეს გვამი ამ დღეებში ავლაბარში მოკლულ ნიკო ჯანიშვილისა, რომელიც დიდ მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში. დაკრძალვას მრავალი ხალხი დაესწრო, უმთავრესად მუშები. კუბო გვირგვინებით შეამკეს. იყო გვირგვინები აბანოების მუშებისა, გამომცემელ ამხანაგობის მუშებისა, ენფიანჯიანჯის ქარხნის მუშებისა, პროფესიონალურ კავშირებისა და სხვათაგან, სულ 27 გვირგვინი. გვამი პეტრეპავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს.

✦ **დაპატიმრება.** 8 ივლისს პოლიციამ მე-7 ნაწილში დააპატიმრა ტფ. მოქალაქენი არსენ ბოდოლიანცი, დავით ორდენიძე და გეურქ ბაშნაგიანცი, რომელთაც ჰბრალდებათ ვაქარ ალი-ამიროვზე თავდასხმა 2 ივლისს, ფულისა და რევოლვერის გატაცება. როგორც გამორკვეულა, ბოდოლიანცის ნამდვილი გვარი თეიმურაზოვი ყოფილა. იგი ამას წინად შეცდომით საპატიმროდან გამოუშვიათ.

✦ **ქურდობა მატარებლებში.** ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მატარებლებში ძალიან გახშირდა ქურდობა. იშვიათია მატარებელში, რომ მგზავრები არ გაქურდონ. 8 ივლის ღამე ყვირილაში ბათუმიდან მომავალ მატარებელში გაუქურდავთ ათამდე მგზავრი. ზოგისთვის საათები აუცლიათ, ზოგისთვის ფულიანი ჯიბეები მოუჭრიათ, სხვათა შორის ერთი აფიცრისათვის ჯიბე მოუჭრიათ, რომელშიაც რევოლვერი ყოფილა. ხაშურში დააპატიმრეს ერთი ქურდი, რომელსაც ჯიბეში რამდენიმე საათი აღმოაჩნდა თურმე.

✦ შაბათს, 14 ივლისს, საღამოთი ქართული დასი, ქ-ნი ივანიძისა, ნებიერიძისა, მდივნისა, ბ-ნი ვ. აბაშიძისა, დ. ჩარკვიანისა და სხვ. მონაწილეობით ფუნიკულიორზე წარმოადგენენ „ცხოვრების გმირს". წარმოდგენა საღამოს 7 საათზე დაიწყება.

✦ სოლოლაკის ქუჩაზე პოლიციის მე-4 ნაწილში 9 ივლისს სამ შეიარაღებულ კაცს გურგენოვის მაღაზიაში მოუთხოვნია 25 მან. უცნობებს ფული მიუღიათ და მიმალულან.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ მკითხველს უთუოდ არ დავიწყებია ის გარემოება, რომ ბანკის რწმუნებულთა უკანასკნელ კრებაზე ზედამხედველ კომიტეტის მიერ დანიშნულმა კომისიამ მთელი საბრალმდებლო ოქმი წარუდგინა კრებას დამფასებელ კომისიის მოქმედების შესახებ. კომისიას ჰბრალდებოდა ის, რომ ტფილისის მამულების დაფასების დროს ბანკის ინტერესები არ იქმნა დაცული და დამფასებელ აქტებში მრავალი შეცდომა აღინიშნა. კრებამ რამდენსამე დღეს იქონია მსჯელობა ამ საგნზე, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. არ გასულა კრების დახურვის შემდეგ ერთი კვირა, რომ ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის შეერთებულ კრებას წარუდგა საკითხი დამფასებელ კომისიის წევრთა არჩევის შესახებ. კრებამ ერთხმად ისევ ძველი დამფასებლები დასტოვა. ჩვენ დამფასებელ კომისიის წევრთა შესახებ ვერას ვიტყვით, მაგრამ ძალაუნებურად იბადება ასეთი კითხვა: როდის უფრო იყო გულ-წრფელი ორი წევრი ზედამხედველ კომიტეტისა, მაშინ როცა საბრალმდებლო ოქმსა სწერდა დამფასებელ კომისიის წევრების წინააღმდეგ, თუ როცა ერთხმად ირჩევდნენ იმავე კომისიის წევრებს? არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ახლად არჩეულმა ორმა წევრმა ზედამხედველ კომიტეტისამ არჩევიდან ორი დღის შემდეგ კომისიის წევრების არჩევანში მონაწილეობა მიიღო და თავისი ხმები სხვებს შეუერთა. სამართლიანობა მოითხოვდა ახლად არჩეული წევრნი ჯერ გასცნობოდნენ დამფასებელ კომისიის წევრების მოღვაწეობას და მერე მონაწილეობა მიეღოთ არჩევანში.

## სპარსელ ქართველების მოგზაურობა

როგორც ვწერდით, ქართველი სპარსელები ივნისის ბოლო რიცხვებში ტფილისიდან გავიდნენ საქართველოს დაბა-ქალაქებისა და სხვა შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად. 30 ივნისს დაათვალიერეს გორი და ახლო მახლო ზოგიერთი სოფელი. კვირას, 1 ივლისს, გორის სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში გამართეს სალიტერატურო საღამო. საღამოს ხალხი ნაკლებად დაესწრო, რადგან საღამოს გამართვის ამბავი გორელებმა გვიან გაიგეს. გორიდან ექსკურსანტები დასავლეთ საქართველოსკენ გაემგზავრნენ. 2 ივლისს ეწვივნენ ქ. ქუთაისს. დაათვალიერეს შესანიშნავი ადგილები, სამეურნეო სასწავლებელი, „კოლხიდას" აბრეშუმის პარკის საშრობი ქარხანა. აქ ი. ქუთათელაძემ დაწვრილებით აუხსნა, თუ რა ნაირად მოჰყავთ აბრეშუმი, რომელ ადგილებში უფრო მისდევენ მეაბრეშუმეობას და სხვა. ექსკურსანტებმა გაიცნეს აგრეთვე პარკის გადარჩევისა და გახმობის საქმე. დაათვალიერეს ლაღიძის წყლების საკეთებელი და ყინულის დამზადებული ქარხნები.

ქუთაისიდან ექსკურსანტები 3 ივლისს წავიდნენ გელათის მონასტერში, სადაც მათ გაუმასპინძლდათ ეპისკოპოსი ლეონიდი. დაათვალიერეს მონასტერი, ძველი ნაშთები და ხელნაწერები. ყ. ონიკაშვილმა ამოიკითხა არაბული წარწერა დავით აღმაშენებლის მიერ დარუბანდიდან მოტანილ რკინის კარებზე. წარწერის სავსებით გარჩევა შეუძლებელია, რადგან ჟამთა ვითარებისგან ჟანგს ამოუჭამია ბევრი ასო.

4 ივლისს დაბრუნდნენ გელათიდან მგზავრები; გზაზე დაათვალიერეს მოწამეთის მონასტერი. 6 ივლისს ეტლებით წავიდნენ ხონში. მგზავრები აღტაცებაში მოვიდნენ ვაკე იმერეთის მდიდარ ბუნებით.

7 ივლისს საღამოთი ხონის სათეატრო დარბაზში სალიტერატურო საღამო გაიმართა. ხალხი დიდძალი მიაწყდა. სამწუხაროდ, სათეატრო დარბაზმა ყველა ივერ დაიტია. ყ. ონიკაშვილის მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, შაბათს ღამითვე ხონელებმა სტუმრებს ვახშამი გაუმართეს. ვახშმობის დროს ბევრი სიტყვა წარმოითქვა.

მგზავრები ქუთაისში დაბრუნდნენ 8 ივლისს დილით. ქუთაისშიაც ამ დღეს დილის 11 საათზედ გაიმართა სალიტერატურო დილა. ი. ცინცაძემ წაიკითხა შაჰ-აბაზის მიერ ქართლ-კახეთის აკლება. ონიკაშვილმა ორს საათამდე ილაპარაკა და გააცნო ქუთათურებს ფერეიდანელ ქართველთა ყოფა-მდგომარეობა. დიდის გულდასმით უსმენდნენ ქუთათურები ონიკაშვილის ცოცხალ სიტყვას, დალაგებულსა და მკაფიო ქართულს. თეატრი სავსე იყო ხალხით. დასასრულ ორატორმა სთქვა: ჩვენ მიერ საქართველოს გაცნობა შემთხვევითი არ იქნება. აქაურობის დათვალიერებამ დიდი ტვირთი დაგვადო, რადგანაც წარმოვიდგინე, რა ჩამორჩენილია ფერეიდანის ქართველობა, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენ უფროს ძმების ქართველების დახმარებითა და ხელმძღვანელობით ფერეიდანის ქართველები გონებით ამაღლდნენ და სულიერად დაუკავშირდნენ აქაურებსაო. ხალხმა ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი. საღამოთი ქუთათურებმა ვახშამი გაუმართეს სტუმრებს.

9 ივლისს მგზავრები წავიდნენ ბათუმისაკენ. იქ სალიტერატურო საღამოს გამართავენ დღეს 11 ივლისს, დაათვალიერებენ და შემდეგ გაემგზავრებიან სენაკისა და ფოთისაკენ.

## მუშების ცხოვრება

**გაფიცვა სოფ. ნიკოლსკის ქარხნებში.** სავა მოროზოვის ქარხნებში სოფ. ნიკოლსკის ახლოს ოცი ათასამდე მუშაა გაფიცული. გაფიცვა მშვიდობიანი ხასიათისაა. წინად მცირე გაფიცვების დროსაც ახლო-მახლო იკეტებოდა ყველა სახაზინო არაყით სავაჭრო. დღეს კი ეს სავაჭროები ღიაა და მუშები შიგ არა სჩანს, რადგან არაყის ფარდი არავის არა აქვს. გა-

ფიცვა ასე დაიწყო. პირველად გაიფიცა 30 მუშა. წარადგინეს მოთხოვნილებები, რომლებიც ქარხნის გამგეობამ პირობის დარღვევად იცნო და ეს 30 კაცი დაითხოვა. ყველა დანარჩენმა მუშებმა მხარი დაუჭირეს დათხოვნილებს და მათი დაბრუნება ითხოვეს, რაზედაც ქარხნების ადმინისტრაციამ გადაჭრით უარი გამოაცხადა. გაფიცვა ყველა ქარხანას მოედო. გაფიცულები პირველად ამხანაგების დაბრუნებას თხოულობდენ, შემდეგ კი თავისი მოთხოვნილებანიც გამოაცხადეს, რომელთაც ქვემოდ ჩამოვთვლით. მუშათა მოძრაობის მეთაურები არ ჩანან. მუშები ფიქრობენ, რომ ისინი დატუსაღებულნი არიან, რის გამო კიდევ უფრო მეტი მღელვარებაა გაფიცულთა შორის. ქარხნების ადმინისტრაციამ დახურა ქარხნები განუსაზღვრელი ვადით და გამოაცხადა, რომ ანგარიშს გაუსწორებს ყველა მსურველს,—მაგრამ არავინ ეკარება, რადგან დატუსაღებას ერიდებიან! მუშების მიერ მოსალაპარაკებლად გაგზავნილი დეპუტატი დატუსაღებულ იქმნა. გაფიცულებმა იმისი განთავისუფლება მოითხოვეს, მაგრამ უშედეგოდ. ქარხნების რაიონში გაგზავნილია სამი როტა ქვეითა ჯარი. მუშების მოთხოვნილებანი უმთავრესად შემდეგია: 1) 8 საათის სამუშაო დღე; 2) დათხოვნილ 30 მუშის და საზოგადოდ პოლიტიკურ მოძრაობის გამო ყველა დათხოვნილ მუშების დაბრუნება; 3) თვითეულ კვირაში 42 საათი დასვენება; 4) ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოთაგან ქალების და ბავშვების მოშორება; 5) მშობიარობის წინ ოთხი კვირით და მშობიარობის შემდეგ ექვსი კვირით მუშაობისაგან ქალების განთავისუფლება ჯამაგირით; 6) ძუძუთ მაწოვარ ქალების განთავისუფლება მუშაობისაგან ყოველ სამი საათის შემდეგ ნახევარი საათის ვადით; ყოველ წელს მუშების განთავისუფლება მუშაობისაგან ერთი თვის ვადით, ჯამაგირით; 7) ქარხნების გაუმჯობესობა სანიტარულის მხრივ; 8) მანქანების ისე მოწყობა, რათა მუშები უბედურ შემთხვევათაგან უზრუნველ ჰყონ; 8) მუშების სადგომებზე ზედამხედველობა თვით მუშების არჩეულთა მიერ, რათა ქარხნების ადმინისტრაციის წარმომადგენელნი მუშების შინაურ ცხოვრებას მოშორებულ იქნან; 9) ჯარიმების სრული გაუქმება; 10) ჯამაგირების მომატება ისე, რომ მცირეწლოვანთ ეძლეოდეს თვეში არა ნაკლებ 10 მანეთისა, ჰაბუკთ—არა ნაკლებ 15 მანეთისა და მოზრდილ მუშებს არა ნაკლებ 25 მანეთისა.

ამ მოთხოვნილებებთან მუშებს წარდგენილი აქვთ ცხრილი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი პროცენტი უნდა მოემატოს თვითეული მუშის დღევანდელ ჯამაგირს. დანარჩენ მცირე მოთხოვნილებათ აქ ვერ ჩამოვთვლით, რიცხვით სულ 95-მდეა.

## პროვინციის ცხოვრება

**დ. ზესტაფონი.** ორი კვირა იქნება, რაც ჭიათურაში დაიჭირეს რაზმელი გვანტაძე. მისმა დაჭერამ აღმოაჩინა, რომ ს. კვალითში ორი თუ სამი კვირის წინად მომხდარა კრება, რომელსაც დასწრებია 5—6 რაზმელი და რამდენიმე კვალითელიც და და გადაუწყვეტიათ რაზმელების იარაღის აყრა და ამით სოფელში თავის შეფარება. ყოველივე ეს გამოაშკარავა გვანტაძემ დაჭერისა და კარგა ცემის შემდეგ და დაასახელა ის კაციც, რომლისთვისაც იარაღი და 500 პატრონი ჩაებარებინათ კვალითში. გამოსტეხეს თუ არა დაპატიმრებული გვანტაძე, მაშინვე თავს დაესხნენ ხუსკივაძეს, დააპატიმრეს იგი და, რაცა ლაპარაკი უნდა, კეთილი არ დააყარეს. ხუსკივაძის გაჩხრეკამ ვერც იარაღი აღმოაჩინა, ვერც პატრონები, ხუსკივაძე გამოტეხილა, რომ თუმცა იარაღი და პატრონები შომაბარეს, მაგრამ მეორე დღესვე წაიღებს. ამის შემდეგ მაზრის უფროსმა სოფელი კვალითი დააჯარიმა 1000 მანეთით. ორი-სამი დღის შემდეგ ს. ტაბაკინში დააპატიმრეს მეორე რაზმელი ჩაჩუა.

თუმცა რაზმელების მიზეზით ბევრს სცემეს, ბევრი დააპატიმრეს, მთელი სოფელიც დააჯარიმეს, მაგრამ ყოველივე ეს შედარებით სოკრატ აბაშიძისა და სებისკვერაძის მოქმედებასთან არაფერია. ამ პირთ უმაღლეს ხარისხამდე განავითარეს თავიანთი ხულიგანობა და ვფიქრობთ, რომ რუსეთის გამოჩენილ ხულიგანებს მეტოქეობას გაუწევენ. ეს არც გასაკვირველია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხელმძღვანელად შარშანდელს აქეთ სახელ განთქმული მახარაძე ჰყავთ.

პეტრე-პავლობა დღეს დააპატიმრეს და 30 ივნისს 11 გაგზავნეს ქუთაისის საპატიმროში, ჟანდარმების განკარგულებით, სამსონ ჟღენტი, ვლადიმერ ავალიანი და აბო საყვარელიძე. ჭეშმარიტი მიზეზი და პატიმრებისა არავინ იცის, მხოლოდ როგორც საქმე ირკვევა. სებისკვერაძისა და ს. აბაშიძის ჩაგონებით ჟანდარმს მოუხდენია საიდუმლო გამოძიება, რისთვისაც ჩვენ რა ინდებს წინდაწინვე გაუწვავთ მოწმენი. ამ გამოძიებით სამსონ ჟღენტს, რომელიც, შეიძლება, სებისკვერაძისა და აბაშიძეზე წმინდა არც კი იყოს, უმტკიცებენ, ვითომ კვალითში შეკრებილი ფული ორგანიზაციისათვის გადასცესო. აბო საყვარელიძეს უმტკიცებენ, ვითომ მან მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულისა და სხვათა დასწრებით მიტინგი გამართა ს. სასარაში. ვლ. ავალიანზე ხომ ჭავრსა ეყრილობენ მარტის ამბისათვის. სამაზრო პოლიცია ამ საქმეში არაფერ შუაშია და როგორც აბაშიძემ და სებისკვერაძე თავის საწადელს სხვა გზით ისრულებენ—ჟანდარმების დახმარებით და ამ ნაირად მაზრას ახალი ბატონ-პატრონი გაუჩნდა ახლად მოგონილი დანოსნიკების დახმარებით. ხოლო მაზრის ადმინისტრაცია ბ-ნ მანსვეტოვის მეთაურობით თითქო გადაყენებულიაო, გარდა, რასაკვირველია, მახარაძისა, რომელიც იდუმალად დახმარებას უწევს თურმე ს. აბაშიძესა და კომპანიას. მიზანი ასეთის მოქმედებისა აშკარაა—მახარაძეს თავის დამქაშებით მანსვეტოვის გადაყენება უნდა და მაზრის ხელში ჩაგდება. როგორც სჩანს, მანსვეტოვი უკანასკნელმა ამბებმა გამოარკვია სიღათას ძილიდან და სცდილობს თავიდან მოიცილოს წინანდელი თავის მრჩეველნი და თანაშემწენი, მაგრამ მან იცე შემთხვევას რიგიანი ხალხი, რომ ვეჭვობთ თავი დააღწიოს იმ ქსელს, რომელიც იმ თავითვე გაუბეს. უფროსის უთავობამ და დანარჩენთა თავგასულობამ ხალხი მეტის მეტად შეაწუხა და შორს არ არის ის დრო, როცა იმედ-მიხდილი ხალხი თავის გაჭირვებას ასე თუ ისე გამოხატავს.

ჩვენ მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, რომ ს. კვალითმა გამოაშკარავა, რომ სოკრატ აბაშიძის, სებისკვერაძისა და ვარდენ საყვარელიძის ბრძანებით მათ შორის სამსონ ჟღენტის საშუალებით ფულით იკრიბებოდა ვითომდა მოსალოდნელ ეგზეკუციის თავიდან ასაცილებლად. თუმცა მაზრის უფროსმა ას საქმის შესახებ გამოძიება მოახდინა მახარაძის ხელით, მაგრამ ხალხმა აღარ დაფარა და ყველაფერი გამოაშკარავა, არც თვით ჟღენტმა დაჭფარა სიმართლე. ზოგიერთმა კერძო პირებმაც განაცხადეს, რომ მე ამა და ამ პირმა ამდენი და ამდენი გადამახდევინა და სხ. სხვათა შორის ვლ. ავალიანმა დაადასტურა, რომ სანამ ნიკო სიდამაძეს სებისკვერაძემ და სოკრატ აბაშიძემ ოცი თუმანი არ გადაახდევინეს, საპატიმროდან არ გამოუშვესო. ეს საქმე დღესაც მახარაძის ხელშია, მაგრამ არაფერი მსვლელობა არ მიუცია მისთვის. თუმცა მაზრის უფროსის განკარგულებით სებისკვერაძეც და ს. აბაშიძეც მაშინვე დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, მაგრამ ეს მხოლოდ ხალხის საჩვენებლად იყო მომხდარი. ნამდვილად-კი ორივენი თავ-თავის ადგილზე დარჩნენ. მათმა მოქმედებამ თვით მაზრის უფროსი საფრთხეში ჩააგდო და ეხლა, როგორც ამბობენ, მანსვეტოვი აპირებს თურმე მხნე მოქმედებას და აბაშიძისა და სებისკვერაძის ადაგმვას.

ჯერ ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა გავიგე, რომ სოკრატ ბაშიძე და ვარდენ საყვარელიძე დააპატიმრესო.

**მოკითხელი.**

### მცირე შენიშვნა „კახეთის" გამგეობას და კომისიას
(მათი წერილის გამო)

კარგა ხანია რაც „კახეთის" საზოგადოებამ გამოილაშქრა მუშების წინააღმდეგ და მკითხველ საზოგადოების თვალში რომ თავი გაემართლებინა, საქმის ნამდვილ მდგომარეობას ხელი გადააფარა, წარმოების შემაფერხებელი და დამაბრკოლებელი მიზეზები და გარემოება განზე გადასდო და ყველაფრის დამნაშავედ და მიზეზად ჩვენ, მუშები, გამოგვიყვანა („ხილე კახელ მევენახეთა კრებების ანგარიში—„ისარი", № 65). ამაზე ჩვენ გავეცით პასუხი („ლახვარი" № 5), რომელშიაც ვამტკიცებდით წინააღმდეგ მათ მიერ წამოყენებულ ყალბ ბრალდებისა, რომ: 1. „კახეთის" ზარალი იყო გამოწვეული ექვსი თვის განმავლობაში საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის და საზოგადო წარმოების შეჩერების მიერ და არა მუშების მიზეზებით; 2. წევრებს ზარალი კი არა, ფაქტიურად მოგებაც უნახავთ 20,000 მანეთამდე ქვევრის პირზე, ღვინის ადგილობრივ ბაზრის 20% მეტათ გასაღებით; 3. მუშები ოთხ საათს კი არა, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, რვა საათს მუშაობდნენ და 4. მუშების მიერ დანიშნულმა მედიატორებმა სცნეს დამნაშავედ მჭედლიშვილი და არა მუშები.

საქმის მომწესრიგებელმა კომისიამ და „კახეთის" გამგეობამ ამის შემდეგ უშველებელი წერილები გამოუშვეს „ისრის" მე-139, 140, 141 ნომრებში, რომლებშიაც ერთი სიტყვითაც არ შეეხნენ მას, რასაც ჩვენ აშკარად და შეურყეველის საბუთებით ვუმტკიცებდით. საქმის ნამდვილი ვითარება და სადაო საგანი განზრახ ბურუსში გაახვიეს; ახლა სხვა და სხვა ახალ ბრალდების ძებნას შეუდგნენ და მეორე საბრალმდებლო ოქმი გამოიტანეს ჩვენს წინააღმდეგ, რომ იმით დავთარი ლაებნიათ როგორც მუშებისათვის, ისე გარეშე საზოგადოებისათვის, მაგრამ ნუ ფიქრობს ასეთის ლათაიებით ფონს გავიდეს!

წინადადებას ვაძლევთ დაარღვიოს „კახეთის" გამგეობამ ყველა ის ოთხი მუხლი, საბუთებით და ფაქტებით დამტკიცებული, რომელიც „ლახვარის" მე-5 ნომერში იყო მოთავსებული.

„ისარის" მე 139, 140, 141 ნომრებში გამგეობ ს და მომწესრიგებელ კომისიის მიერ მოთავსებულ ვეებერთელა წერილზე ჩვენ დაწვრილებით პასუხი გავეცით და დავამტკიცეთ მთელი მათი სიყალბე „დილის" მე-12 „ისარის" 142 ნომერში; დაგვრჩა მხოლოდ რამდენიმე ადგილი მათ მიერ „ისარის" № 140 მოთავსებულ წერილისა, რომელიც პირადად მე შემეხება.

ამ ნაირად, კომისიამ და გამგეობამ, დაინახა, რომ პირდაპირ საგანზე ლაპარაკი და სიმართლის გამომჟღავნება მათთვის ხელსაყრელი არ იყო, როგორც ვთქვით, ლობე-ყორეს მიედვნენ და თავიანთ გრძელ წერილში „ბრძოლაზე" და ბრძოლით მოპოვებულ უფლებების მოხმარებაზე ლექციას გვიკითხავენ. „ჩვენ ვამტკიცებთ—სწერს კომისია-გამგეობა—რომ არც ერთი **უფლება ბრძოლით არ შეუძენიათ ჩვენს მუშებსო**; თხოვნითაც არ მოუმართნიათ და ბრძოლაზე ლაპარაკი ხომ სასაცილოაო. ჩვენ **ჩვენი ნებით და სურვილით მივანიჭეთ ყველა ის უფლებანი**, რაც ხელთ აქვთ დღეს მუშებს" („ისარი" № 140. ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ნეტავი რას ფიქრობდნენ კომისია და გამგეობა, როცა ამ სიტყვებს სწერდნენ!! როგორ გესმით თქვენ შრომასა და კაპიტალს შორის ატეხილი ბრძოლა? მოთხოვნილების წამოყენება, გაფიცვები, ბოიკოტი და სხვა—არის თუ არა ბრძოლა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის? და თუ არის, ჰქონდა თუ არა ადგილი გაფიცვებს და ბოიკოტს „კახეთის" საზოგადოებასა და მისს მუშებს შორის, ან შეიძლება ბრძოლას მუშებსა და მრეწველთა შორის რუსეთ-იაპონიის ომსავით მხოლოდ თოფ-ზარბაზნების ჭექა-ქუხილში და სისხლის ნიაღვარში ხედავთ? თუმცა მართალია ისიც, რომ კაპიტალისტები ხშირად აყენებენ მუშების სისხლის ნიაღვარს, მაგრამ უფრო „კულტურულად" ვიდრე ბრძოლის ველზე. „თხოვნითაც არ მოუთხოვნიათო" სწერთ თქვენ. დიახ! თხოვნით არ მოუმართნიათ, რადგან თხოვნას და მუდარას აქ ადგილი არა აქვს, მუშები მხოლოდ მოთხოვნილებებს უყენებენ თავიანთ „ხაზეინებს", და ეს იმ ბრძოლის გამოცხადებაა, რომელსაც თქვენ დაცინვის ნიშნად ბრჭყალებში სვამთ!.. „ჩვენ ჩვენი სურვილით მივეცით უფლებები მუშებსაო", წარბ შეუხრელად ამბობთ თქვენ. საქმის არ მცოდნე რომ არ დააბრუოს თქვენმა „ტკბილმა" სიტყვებმა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ მოკლედ თქვენსა და ჩვენს, მუშებს, შორის დამოკიდებულება განწყობილების დამახასიათებელი ამბები:

1905 წლის იანვარში ჩვენ მოთხოვნილებები—რვა საათის სამუშაო დღე და სამუშაო ქირის მომატება—წარმოგიდგინეთ (უკაცრავად, თუ მუხლ მოდრეკით არა გთხოვეთ), მაგრამ თქვენ, მიუხედავათ თქვენის გულკეთილობისა, არ დააკმაყოფილეთ. რამდენისამე თვის შემდეგ ისევ იმავე მოთხოვნილების წამოყენებით ერთის დღის ფაფიცვით მოვიგეთ კიდეც მუშების მიღება—დათხოვნის უფლების დამატებით. წინად, როდესაც მუშები დილიდან საღამომდის მუშაობდნენ (12—15 საათს) და 10—14 მანეთამდის იღებდნენ თვეში, სად იყო მაშინ თქვენი სურვილი და „ნება? თქვენი ნაქები „სურვილი" და „ნება" ვერ შეურიგდა დიდხანს ჩვენ მიერ ბრძოლით (გაიგეთ, ბატონებო!) მოპოვებულ უფლებას (მუშების მიღება-დათხოვნა) და ერთის ამხანაგის ჩვენდა დაუკითხავად დათხოვნით მოინდომეთ თქვენი „კეთილის სურვილის" წინააღმდეგ მოპოვებულ უფლების უკან წაღება. ამას მოჰყვა ცნობილი 1905 წ. დიდი გაფიცვა და ბოიკოტი, რაც ორ თვე ნახევარს გაგრძელდა, და რაც ჩვენის სრული გამარჯვებით დასრულდა, და ამის შემდეგ სწერთ: „ჩვენი სურვილით და ნებით მივეცით მუშებს უფლებებიო"-ო! ამას ლაპარაკობენ იმ საზოგადოების წინაშე, რომელმაც ბოიკოტი სამაგალითო თანაგრძნობით ჩაატარა და თქვენი ღვინის სმაზე ხელი აიღო მანამდე, სანამ არ დააკმაყოფილეთ მუშების სამართლიანი მოთხოვნები.

რაც შეეხება კერძოდ ჩემდამი მიმართულ სიტყვებს: „ჯამაგირს თავის დროზე იღებდი და სარდაფში სიარულით არ ჩაიხედავდიო"—ამაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ავადმყოფობის დროს არ მუშაობა და ჯამაგირის მიღება დიახაც რომ ბრძოლით შეძენილი უფლებაა და ამ უფლებით ალბათ სარგებლობს ყველა ცოტად მაინც შეგნებული მუშა. თუ რაიმე კერძოდ ჩემს წინააღმდეგ გქონდათ, ყველა მუშებზე რატომ მოიტანეთ იერიში? დასასრულ უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი სიყალბე, ვითომ მუშებს თორმეტ-თორმეტი ბოთლი ღვინო დაეტაცებინოთ. კი არ დაუტ ცნიათ, გამოიწერეს იმ პირობით, რომ თუ არ ერგებოდათ, შემდეგ ჯამაგირში გამოერიცხათ.

**მუშა მათე გორგილაძე.**

## რუსეთი

**გემის სოფიას გაძარცვა.** პირველ ივლისს ქ. ოდესსას ახლოს ვიღაც მძარცველები თავს დაესხნენ და გაძარცვეს გემი სოფია. ადმინისტრაციის განკარგულებით გემზე მოსამსახურენი დატუსაღეს. მძარცველებმა წაართვეს „რტველშჩიკს" 50 ათასი მან. და მთელი გემი ააფორიაქეს. უქმი დღე იყო და გემით მრავალი ხალხი მოდიოდა; ხანჯლებით, რევოლვერებით და ყუმბარებით შეიარაღებული მძარცველები მგზავრებს დაერივნენ. საკმაო დრო ჰქონდათ, რათა თავდასხმის გეგმა გამოერკვიათ. დღის თორმეტ საათზე გემის კაპიტანის ახლოს ბაქანზე გაჩნდა ორი კაცი, კეფაზე რევოლვერები ძიადვეს, უბრძანეს უძრავად გაჩერებულიყო და ბრძანება გადასცეს სამანქანო განყოფილებაში გემი გაეჩერებინათ. ერთი მძარცველთაგანი საჭეს ახლოს გაჩერდა (მესაჭეც დაატუსაღეს). მთელი გემი მძარცველების განკარგულებაში გადავიდა, რომლებიც სამად გაიყვნენ და ისე მოქმედებდნენ. კაპიტანს წაართვეს სასიგნალო შუშხუნები, და „გუდოკი", რათა გემის სახიფათო მდგომარეობა არავისთვის ეცნობებინა. კაპიტანმა პროტესტი გამოაცხადა, მაგრამ მძარცველებმა უთხრეს მგზავრებს, ეს კაცი გააჩუმეთ, თუ გსურთ, რომ აქ სისხლი არ დაიღვაროსო. მძარცველებს ბელადი დარბოდა გემზე, ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა და მეორეში ხანჯალი, ამშვიდებდა ხალხს და ამბობდა, არავის არაფერს დავუშავებთ, წყნარად იყავით, იცოდეთ, რომ ჩვენ სარევოლიუციო საქმეს ვაკეთებთ; სხვა გზით ამ საქმისათვის საჭირო ფულის შოვნა შეუძლებელია. მატროსების უდიდესი ნაწილი იმათთვის დანიშნულ ოთახში დაამწყვდიეს და ხუთი დარაჯი დაუყენეს. შემდეგ ათაჩვენეს თავისი იარაღი და პატარა ხელით სატარებელი ტყვიის მტყორცნი, რომელმაც შიშის-ზარი დასცა ყველას. შემდეგ მძარცველებმა მიაგნეს ბახკირტელშჩიკს, რომელსაც მიჰქონდა თან 50 ათასი მან. და ეს ფული წაართვეს. შემდეგ გამოუცხადეს მგზავრებს, ვინ არის თქვენ შორის მდიდარი მემამულე, რომელსაც თან ფული აქვსო. როცა პასუხი არ მიიღეს, გაჩხრიკეს მგზავრები და წაართვეს ყველას ორი ათამდე მანეთი. შემდეგ მძარცველებმა საუზმე მოითხოვეს, რომლის დროს ერთმა მგზავრმა ებრაელმა იჩივლა ბელადთან, ერთმა თქვენმა ამხანაგმა ჯიბიდან საათი ამომართვაო. ბელადმა უპასუხა, თქვენი საჩივარი უსაფუძვლოა; ჩემი ამხანაგები ამისთანა საქმეს არ მისდევენო. ღამის ორ საათზე მძარცველებმა ჩამოუშვეს ნავები და წასასვლელად მოემზადნენ. წასვლის წინ ბელადმა დაურიგა ზემო მოსამსახურეებსა და მატროსებს სამ-სამი მანეთი. ამის შემდეგ ნავებით გაუდგნენ ნაპირისაკენ. სოფიამ აუშვა შველის ბაირაღი, რომელიც ერთმა ახლოს მომავალმა გემმა დაინახა და მოეშველა. დამსწრეთა სიტყვით მძარცველებს შორის ებრაელები და ქართველები ერივნენ. ყველანი კვალ-წმინდად გაჰქრნენ.

## დეპეშა
(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ივლისი

**რ უ ს ე თ შ ი.**

**ლოძი.** დაიხურა გამპეს და ალბერტის მატყლეულობის ფაბრიკა. მიზეზი მუშების მოთხოვნილებანია.

ზგერჟში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ერთი მუშა.

**ასხაბადი.** რკინის გზის დეპოში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ზეინკალი რუქი. ტყვია მოწამლული აღმოჩნდა.

**ვორონეჟი.** სამაზრო საერობო არჩევნებზე აირჩიეს მემამულენი და ზომიერნი.

**ვილნო.** პოლიციის მოხელეებმა ღამე რადომის ქუჩაზე ერთი სახლი გაჩხრიკეს, სადაც მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმა ანარქისტმა რევოლვერების სროლა ასტეხა. პოლიციამ პასუხი გასცა. როცა პატრონები შემოელიათ, ანარქისტები დანებდნენ. სახლში აღმოაჩინეს გაუტენავი ყუმბარა, 6 ბრაუნინგი, არალეგალური ლიტერატურა და მიწერ-მოწერა. მალობელ სახლში შემთხვევით მოკლულ იქნა ერთი ებრაელი ქალი.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** პოლონელ მემამულეთა მეთაურობით არსდება საგუბერნიო საარჩევნო კომიტეტი. კომიტეტში თითო მაზრიდან ორ ორი დელეგატი შევა. კომიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ზომიერ დეპუტატების არჩევას. საარჩევნოდ ემზადება ებრაელების სახალხო ჯგუფიც.

**ვალკი.** სამაზრო საერობო არჩევნებზე უმეტესობა ზომიერები აირჩიეს.

**კრასნოიარსკი.** აჩინსკიდან ხუთი ვერსის მანძილზე, მეთევზის ქოხში დააპატიმრეს ვიღაც უცნობი, რომელიც ყუმბარებს აკეთებდა. აღმოაჩინეს 120 წყობა დინამიტი, ასაფეთქებელი მასალა და ბევრი პასპორტი. უცნობმა განაცხადა, აფთიაქის შეგირდი სმოროდინოვი ვარო.

**ვარშავა.** აღმოაჩინეს სამხედრო სარევოლიუციო ორგანიზაცია. დააპატიმრეს 18 კაცი. აღმოაჩინეს დიდი ლიტერატურა.

**კიევი.** ფერისცვალების მონასტერში, თავისს სენაკში მოჰკლეს მღვდელ-მონოზანი პაისი.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

10 ივლისი.

**სეული.** არა თუ კორეს ჯარის საკმაოდ არაა, რომ თავი დააღწიოს აწეწილ მდგომარეობას, იაპონელი ჯარიც, რომელიც კორეშია, ვერას გახდება. ზომები მიიღეს, რომ ჯარი სიმონოსეკიდან დაიძრან. მცხოვრებნი მხოლოდ იაპონელებს უყურებენ მტრულის თვალით. დანარჩენ უცხოელებს არას ერჩიან. ფიქრობენ, რომ იაპონელები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებიან, როცა ხალხის დიდი ნაწილი გაიგებს სეულში მომხდარ ამბავს.

**სეული.** კორეაში საქმე უკეთ მიდის. გენერალმა ხასეგავამ ბრძანება გასცა, ტყვიის მფრქვეველები სასახლის მოედანიდან გაიტანონ. იაპონელების მცირე რაზმი იცავს მთავრობის ორს თოფ-ხანას. რაზმს დავალებული აქვს ააფეთქოს თოფხანები, უკეთუ მათი დაცვა შეუძლებელი გახდება. აგიტატორები მიტინგებზე ამაღელვებელ სიტყვებს ამბობენ. კორეელების ჯარს 90,000 კაცის სამყოფი სამხედრო მასალა და ტყვია-წამალი აქვთ. გენერალ ხასეგავას ჰყავს მხოლოდ 2,300 კაცი. მარკიზ იტო წინააღმდეგია სეულში სამხედრო წესების გამოცხადებისა. მას არეულობის მოსასპობად ერთ ერთ საშუალებად მიაჩნია ჰააგაში წასულ კორეის დეპუტაციის სამართალში მიცემა.

**ზალცბურგი.** გაიფიცნენ ტაუერნის გვირაბის მუშები. ისინი ხელფასის მომატებას თხოულობენ.

**მალნიცი.** 8 ივლისს, დილის 5 საათზე, ტაუერნის გვირაბი გათხარეს.

**ტოკიო.** ბუნგოს ოლქში, ტოიოსკის ნახშირის მადაროებში, აფეთქება მოხდა. მადაროებში 471 კაცი მუშაობდა. შიშობენ, რომ უმრავლესობა დაიღუპა.

**ლვოვი.** მრავალის ხალხის თანადასწრებით გაიხსნა პოლონელ ექიმებთა და ბუნების მეტყველების მე 10 კრება.

რედაქტორ-გამომცემელი
ე. ბელიაშვილი.

**ტომსკი.** ნოვო-ნიკოლაევსკში 16 სექტემბერს ავად გახდა 16, გარდაიცვალა 5, ბერსკში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3, ბარნაულში ავად გახდა 1.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევკაში 12-15 სექტემბერში ავად გახდა 35, გარდაიცვალა 16.

**სარატოვი.** ქალაქში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2, მაზრებში ავად გახდა 35, გარდაიცვალა 7.

**სიმბირსკი.** გუბერნიაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**სამარა.** ხელახლა ავად არავინ გამხდარა, ძველთაგან გარდაიცვალა 2.

**რიაზანი.** სოფ. ბრანინში ავად გახდა 1.

**ომსკი.** ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13.

**ეკატერინოსლავი.** 14 სექტემბრიდან ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2.

## პატარა ფელეტონი

### ქვეყნის მესვეური.

„ხშირად შეხვდებით ისეთ ადამიანთ, რომელთაც სრულებით არ იციან რა უყონ, საიდან რა მოუგვარონ თავიანთ თავს და ამავე დროს ყოველთვის მტკიცედ იციან, თუ რა უნდა უყონ, რა უნდა მოუგვარონ საზოგადოებას და რაც უფრო ნაკლები ცოდნა აქვთ თავიანთ თავის შესახებ, მით უფრო მტკიცე ცოდნა აქვთ საზოგადოების შესახებ“.

ეს მსოფლიო ჭეშმარიტება ცოცხლად გამახსენდა, როცა, სოფლად მიმავალი, მატარებლის ვაგონში ერთ ახალგაზდას გავეცანი და მასთან მუსაიფის შემდეგ იმისი სულიერი ვითარება შევიგენი.

ზემოყვანილი აზრი, სხვათა შორის, იმიტომაც სწორედ ზედ გამოჭრილი ჭეშმარიტება გახლდათ. ერთ პატარა სადგურზე შემოვიდა იგი ვაგონში და შემოსვლისათანავე იქაურობა დიდებულის აურ-ზაურით აავსო. მარჯვენა იღლიაში ამოდებული ჰქონდა რაღაც დიდი და სქელი წიგნი, მარცხენა ხელში კი ეჭირა პატარა და თხელი ფუთა. თითქო განზრახ ასე გამოწყობილი შემობძანდა ეს ახალგაზდა გვამი ვაგონში, რათა ყველა დამსწრესათვის აშკარად ეჩვენებინა, თუ როგორ ნამდვილი თანამედროვე ჭაბუკი ბძანდებოდა; რამდენად ღარიბი იყო ქონებით და რამდენად მდიდარი ცოდნით.

ახალგაზდა კაცის თვალებიდან რაღაც მოუსვენარი და ამავე დროს თავხედური შუქი გამოკრთოდა. ასეთი გახლდათ, როგორც სჩანს, იმისი მუდმივი სულიერი ვითარება, რაიცა მან შემოსვლისათანავე თავის ქცევით ნათელ ჰყო. შემოვიდა თუ არა, მაშინათვე ისურვა ერთ საუკეთესო ადგილის დაჭერა. როცა უთხრეს, ადგილი დაკავებულია, მგზავრიც მალე შემოვა, დაე მანამ მეორე ადგილია თავისუფალიო, ყურიც არ გაიბერტყა, მტკიცედ დაჯდა არჩეულ ადგილზე, თითქო მოდგმით თან დაყოლილი ჰქონდა უფლება ამ ქვეყნად საუკეთესო ადგილების ხელში ჩასაგდებად. მალე შემოვიდა ადგილის ნამდვილი პატრონი და ზრდილობიანად სთხოვა ახალგაზდა კაცს, დაეთმო მისი ადგილი. ახალგაზდამ უპასუხა, აქ ადგილები საერთოა, შენ-ჩემობა რკინის გზაზე არ შეიძლებაო. ამაზე მგზავრმა უპასუხა, მაღლა აიხედეთ და იქ დალაგებულ ჩემ ბარგს დაინახავთო. მე თქვენი ბარგის დარდიც არა მაქვსო,—უპასუხა ახალგაზდამ და არჩეულ ადგილზე ხალვათად მოიკალათა. დამსწრე ყველა მგზავრმა, რასაკვირველია, უფლება დარღვეულ თანამგზავრის მხარე დაიჭირა, ხმა მაღლა კიცხვა დაუწყეს ახალ-გაზდა კაცს, რომელმაც ყურიც არ გაიბერტყა, იღლიიდან მსხვილი წიგნი ამოიღო, დინჯად გადაშალა და შიგ თავისი ბრძნული ცხვირი ჩაჰყო. მისგან ასე უდიერად უკუქცეულმა ადამიანმა სხვა თავისუფალი ადგილი აირჩია, რადგან, როგორც ეტყობოდა, მშვიდობიანი კაცი იყო და ჩხუბის თავი არ ჰქონდა.

როცა ზრდილობიან ახალგაზრდას კითხვა მოსწყინდა, წიგნი განზე დასდო და, რადგან მე წინ უჯექი, ჩემთან გამართა საუბარი. რამდენიმე წუთის საუბარი საკმაო იყო მასთან, რათა იმისი ღარიბი სულის ვითარება სავსებით გადაშლილიყო თქვენ თვალ-წინ. ტომით ქართველი, იგი, რასაკვირველია, მაშინათვე, „პარუსკუ“ ლაპარაკს შეუდგა, რადგან გულით სურდა ღრმა-ღრმა მეცნიერულ სიტყვებით ჩემზე იერიში მოეტანა და მთელი ვაგონი განცვიფრებაში ჩაეგდო. მაშინვე შევამჩნევდით, რომ ამ ახალგაზდას არა ჰყავდა თავში ის „მასპინძელი, რომელიც ცოდნას ითვისებს და თავისად ჰქმნის“. ხოშკაკალივით მომაყარა ცნობილ მწერლების სახელები, რათა საუბრის დასაწყისშივე ჩემგან ჯეროვანი პატივისცემა მოეპოვებინა. მაგრამ იმ წამსვე შევატყობდით, რასაკვირველია, რომ იმის საცოდავ ტვინში ეს სახელები მხოლოდ სახელებად დარჩნენ, რომ იმისი თავი მხოლოდ გარეგნულად წიგნთ-საცავს, ბიბლიოთეკას ჰგავდა, სადაც წიგნები არა რიგზე, სისტემატიურად იყო დალაგებული, არამედ უწესრიგოდ და უთავბოლოდ, და მყურებელს მხოლოდ ყდაზე დაბეჭდილი დამწერ ავტორების სახელები ეჩხირებოდა თვალში და არა წიგნების მოწესრიგებული შინაარსი. ახალგაზდა კაცის თავის ქალაც, უცნაურად გძელი და წვრილი, დახვეულ მატიანეს ჰგავდა, რომელიც, რომ გადაგეშალათ, სისულელის მეტს ვერაფერს ამოიკითხავდით.

ასეთ მსუბუქის ბარგის მექონე ახალგაზდამ ჩემთან საუბრის დროს მთელი ქვეყნის საქმე ჩინებულად მოაწესრიგა და მთელი კაცობრიობა ნამდვილ წარმატების გზაზე დააყენა.

მე მალე მივხვდი, რად ასტეხა იმან ვაგონში ასეთი აურ-ზაური. მთელი ქვეყნის მესვეური გახლდათ და უეჭველად საუკეთესო და მყუდრო ადგილი იყო მისთვის საჭირო, რათა ზედ ხალვათად დაბძანებულიყო და ბედკრულ კაცობრიობის გადასარჩენად საჭირო წამალი მოეფიქრებია.

**ი. ნიკაშიძე.**

---

თავისუფლების მშვენიერის სხივ-მხურვალება<br>
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდხნის ბორკილსა<br>
და ქართველობა სასიქადულოდ როდის ექნება<br>
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა?“

აქ სწყდება მგოსნის ხილვა, რადგან ის, მის ჭიქა-ქუხილი. როცა გადაიღარებს, მგოსანი დაინახავს, რომ მოხუცს აღეპყრა ცისკენ ხელი და მუხლ-მოდრეკილი იდგა. თურმე ლოცულობდა. ამ ლოცვაში იხატება ის გამოურკვეველი და გარდუწყვეტელი აზრი საქართველოს ბედ იღბალზედ, რომელიც მას ჰქონდა. თუმცა გულში იმედი უღვივის, მაგრამ ეს იმედი სუსტია და თან ეჭვით სავსე. იგი ლოცულობს:

ჰოი სახიერო, ცის სარტყელა განავლე ცასა,<br>
რათა წარღვნისა მელოდინი წარხოცო ხალხსა.

ბოლოს იმედი მიეცემა:

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა<br>
შვიდ-ფეროვანი სარტყელი ცისა<br>
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა<br>
მახარობელად ტკბილ იმედისა.

ამენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,<br>
ერთს ფიქრს მიეცა გულის-თქმა ყველა,<br>
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ<br>
ჯერ არ მენახა მე ცის სარტყელა“.

ამნაირად, მგოსანში ბოლოს იმარჯვებს იმედი. იგი უფრო გაბედულად მიდის თვრების სარბიელისაკენ, რადგან ის ბრძოლა „ჰოსა“ და „არასი“, რომელიც დასურათებულია „აჩრდილ“-ში და რომელიც მგოსანს თან სდევდა თითქმის მთელ ნახევარ სიცოცხლის განმავლობაში, გათავდება იმედის—„ჰოს“ გამარჯვებით, თუმცა ეს გამარჯვება ... ული არ იყო და ძვირადაც უღირდა მგოსანს. საყურადღებო ამ ბრძოლაში ის არის, თუ რა ღრმად აქვს მგოსანს შესწავლილი საქართველოს ნაკლნი და რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ ნაკლებს. საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ მგოსანი ამ ნაკლულევანებაში უპირველესს მნიშვნელობას აძლევს წოდებრივ და ქონებრივ უთანასწორობას. ეს მგოსნის სხვა ნაწერებიდანაც სჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ მგოსანი ხსნას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დასაწყისს თავის სამშობლოს ხსნისას ჰხედავს შრომის განთავისუფლებაში. სხვა ადგილას შემთხვევა გვექნება ეს აზრი უფრო დავასაბუთოთ.

რაკი ბრძოლა „ჰოს“ და „არას“ შორის ჰოს ძლევით გათავდა, მგოსანი, რასაკვირველია, საქმეს უფრო იმედიანულად შეუდგა. წ მოზრდილი ახალგაზდობა ამხნევებს, იგი ეხლა აღარ წუწუნებს, პირიქით ეჯავრება სხვის წუწუნიც-კი. ვახტანგ ორბელიანის სასოწარკვეთილებით აღსავსე ლექსზე „გელათი“, იგი უპასუხებს მხიარულის ლექსით!

ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია?<br>
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია,<br>
თუმცა ძველნი დაგშორდნენ ახალნი ხომ შენია,<br>
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,<br>
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?

ამის შემდეგ ილია ჭავჭავაძის პოეზიის საგნად ჰხდება უფრო საზოგადო საკითხები. ამის შემდეგვე შეუდგა მგოსანი პრაქტიკულ მოღვაწეობასაც—ჟურნალისტიკას და სხვას.

(შემდეგი იქნება).

---

## წერილი ტომსკიდან.

უნივერსიტეტის და სატეხნოლოგო ინსტიტუტის ცხოვრება. — პროფესორის გალახვა. — აქაური სტუდენტობა.

ტომსკის უნივერსიტეტს დიდ ძალი ხალხი მოაწყდა. ეს მოვლენა აიხსნება უმთავრესად, რასაკვირველია, იმით, რომ ახალ-გაზდობაში უმაღლეს სწავლის მეძნის სურვილმა მძლავრად გაიღვიძა და, რაკი სხვაგან გზა არა აქვს, აქ, ტომსკისკენ მოეშურება.

ამას გარდა ციმბირის გიმნაზიებში კურს დამთავრებულ ქალებს წელს უნივერსიტეტში ასამდე ადგილი დაუთმეს. სამკურნალო ფაკულტეტზე ვაჟი და ქალი სამასზე მეტი არ მიუღიათ შენობის სივიწროვის გამო, თუმცა მთხოვნელი 500 მეტი იყო. იურიდიულ ფაკულტეტზე მიღება ჯერ არ გათავებულა.

მე-8 წელიწადია, რაც სატეხნოლოგიო ინსტიტუტი დაარსეს აქ. დაარსების დღიდანვე ბლომად ეტანებოდნენ ამ სპეციალურ სასწავლებელს და ეგზამენები იყო ყოველთვის დანიშნული. ხოლო წარსულ (1906—07) სამოსწავლო წელს ყველა მთხოვნელი უეგზამენოდ მიიღეს, რადგან მთხოვნელთა რიცხვი არ აღემატებია თავისუფალ ადგილს. წელს კი, წარსულ წლების მაგალითით წაქეზებულთ, რომ ტომსკის ინსტიტუტში უეგზამენოთ მიგვიღებენო, რუსეთის სახელმწიფოს ყველა კუთხიდან აქ ითხოვეს შესვლა. სამას სამოცე თავისუფალ ადგილზე 1,050 თხოვნა შემოვიდა 10 აგვისტომდე. ამათგან უეგზამენოდ მიიღეს, როგორც წინად, სიბირელები და იმიერ-კავკასიელნი 203 კაცი, რომელთაც მათემატიკურ საგნებსა და რუსულში ოთხები ჰქონდათ, სულ-კი—12. 16 აგვისტოს დაიწყო საკონკურსო ეგზამენი. საეგზამენოდ გამოცხადდა 500-მდე კაცი; ამათში თითქმის ნახევარი ებრაელები იყვნენ, რადგან მათ აქ წელს განუსაზღვრელად იღებდნენ. ეგზამენები დამთავრდა 21 აგვისტოს. მიიღეს 113; ხოლო 147 კაცის შესახებ პროფესორებმა შუამდგომლობა აღძრეს მინისტრის წინაშე, რომ ისინიც მიიღონ, რადგან მათაც კარგად დაიჭირეს ეგზამენიო. მინისტრმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა. წელს სულ მიიღეს 460, ამათგან—ორი ქალი თავისუფალ მსმენელად ეგზამენით. უეგზამენოდ ქართველი მიიღეს: შალ. მოსიძე, ლად. კვიტაშვილი, ალ. კანდელაკი, ვას. რუხაძე და ან. ასათიანი.

20 აგვისტოს, როდესაც კონკურსანტები ეგზამენს იჭერდნენ ოთხ აუდიტორიაში, უეცრად ერთ აუდიტორიის კარებიდან ხმაურობა მოისმა. გავეშურე, შევიტყე მიზეზი. რუსი კონკურსანტი, გვარად იამაიკინი (ქ. იაროსლავლიდან) ეგზამენატორს — უფროს ლაბორანტს დ. ფროსტის გაეძახნა და მიეცა ტრიგონომეტრიიდან გამოცანა გასაკეთებლად. იამაიკინს ვერ გაეკეთებია, შეხვეწნია ფროსტის: კიდევ მკითხე რამ ან სხვა გამოცანა მომე, თუ გსურს ნამდვილად ჩემი ცოდნა გაიგო და დააფასოო. ლაბორანტს თხოვნა არ შეუწყნარებია და დაუსვამს ცუდი ნიშანი. გაჯავრებულ იამაიკინს სილა გაურტყამს, დოკუმენტები აუღია, გავარდნილა გარედ და გასდგომია გზას. ამის გამო პროფესორებმა სხდომა გამართეს და დაადგინეს: იამაიკინს მოესპოს შემდეგშიაც უფლება ტომსკის ინსტიტუტში შემოსვლისაო.

ამ საქმეში გასაოცარი და დიდათ საკვირველი ის არის, რომ თვალით ხედავდნენ, ვინა სცემა ბ ნ ფროსტს და ხმა ნეტავ რას ნიშნავს ეს?

სტუდენტობა ტომსკში ნელ-ნელა იკრიბება. არა ჩქარობენ სასწავლებლებში გამოცხადებას, რადგან იციან, რომ შარშანდელივით თავისუფლად ვეღარ იქნებიან. ყველას ესმის, რომ დიდის შრომითა და ბრძოლით მოპოვებული ავტონომია შებღალეს, წაართვეს და შარშან თუ პოლიციელებს აქაურ მაღალ სასწავლებლების ეზოებშიაც არ შეუხედნიათ, წელს აუდიტორიებშიაც ინავარდებენ. ყველა ეს აფიქრებს სტუდენტობას. ჩამოსულნი იკრიბებიან ცალ-ცალკე ჯგუფებად და თავიანთი რეზოლიუცია გამოაქვთ. ერთი ჯგუფი მომხრეა გახსნას უნივერსიტეტი, მედგრად შეუდგეს იმ უფლების ცხოვრებაში განხორციელებას, რომელიც შარშან ჰქონდათ, არ მიიღოს მხედველობაში მინისტრის ცირკულიარი და თუ პოლიცია მოვა და ხელს შეუშლის, მაშინ უნივერსიტეტი დაჰკეტოს. მეორე ჯგუფს სურს რამენაირად სწავლა დაიწყოს. საითკენ გადიხრება სტუდენტობა—მემარჯვენეებისკენ თუ მემარცხენეებისკენ, შემდეგ ვნახავთ.

**ბ. ტ—ძე.**

## პროვინციის ცხოვრება

**ოზურგეთი** (გურია). ს. ასკანაში ერთ კაცს ქორწილი ჰქონია. სხვათ შორის, მიწვეული ყოფილა სტრაჟნიკი ნინიძე რომელსაც იგი ძალზე დამთვრალა, გადმოუღია თოფი და დაუწყია სროლა. ამაზე ხალხი ძლიერ შეშინებულა. მისულან, თოფი ჩამოურთმევიათ და მაზრის უფროსთან ჩამოუტანიათ. მიუხედავად ამისა, ნინიძეს განუცხადებია, ასკანაში თოფი ძალით წამართვესო. ამის გამო ადმინისტრაციამ რაზმი გაგზავნა და მოსთხოვა სოფელს 1000 მანეთი, მაგრამ სოფელმა უარი განაცხადა. სოფელმა დეპუტაცია გამოგზავნა ჯარის უფროსთან. ვნახოთ რა იქნება.

ს. ბაილეთში გარდაიცვალა სტრაჟნიკების მიერ ნაცემი შ. კომახიძე. მიქელ გაბრიელში ბრძანება მოვიდა, ყაზარმების შენებას შეუდექითო.

ამ რამდენისამე დღის წინად შეიპყრეს ბ. ბაბუა, ა. დუსუდიძე და ს. ანთაძე.

9 სექტემბერს ღამე დასწვრეს გრიშა აბაშიძე. **—ქსა.**

**ნანეიშვილის საზოგადოება** (გურია). 6 ენკენისთვეს აღნიშნულ საზოგადოებაში შემდეგი ამბავი მოხდა. რეაქციისაგან დარბეულს ვაჭრებს ს. კუტაძეს და ბიქტორ ზაქარეიშვილს დილის 11 საათზე ეწვია ექსპროპრიატორთა ჯგუფი—ოცი თუ ოცდაათი კაცი. ზოგი შევარდა დუქნებში; რაც ფული იყო, წაიღეს, ხოლო საქონელი შეკრეს მაგრად, ჩააწყეს მომზადებულ ხურჯინებში და არხეინად, სიმღერითა და თოფების სროლით გზას გაუდგნენ. ნადავლი მოჰკიდეს ზურგში იქვე შემთხვევით მყოფ ვლადიმერ გაგუას, ს. ახალაძეს და სხვებს. ჯგუფმა თავი შეაფარა მახლობელ ტყეს, რომელიც მდებარეობს ნანეიშვილისეულის და სურებს შუა. პირველად, როცა თავდამცემნი სოფელში შემოვიდნენ, სროლა ასტეხეს. გამვლელ-გამომვლელნი მიწაზედ დაუწვენიათ. ვინც გაძალიანებულა, იმისათვის რამდენჯერმე უსროლიათ, მხოლოდ შესაშინებლად. ამ საქმის გამო ბოქაულმა შეიპყრო ეჭვით დასახელებულნი ლ. გაგუა, ს. ახალაძე და მისი ძმა, მაგრამ ხალხის თხოვნით, ისევ გაანთავისუფლა. ხალხს კი გამოუცხადა, თუ მძარცველები არ აღმოაჩინეთ, ეგზეკუცია ჩაგაყენებ სოფელშიო. ვაის ვაგლახი და ვუის შევეყარეო, სწორედ ამაზე ითქმის.

**ვანილი გ—ძე.**

**სოფ. კავთისხევი** (ქართლი). რაც მოძრაობა დაწყებულა, სოფელი კავთისხევი შეგნებულად მიუძღოდა თავის საქმეებს და თან და თან ადგებოდა განვითარების გზას. წელს კი სოფლელები რამდენსამე ავაზაკზე კარგავენ იმდენ დროს, რომ სხვა საქმეები სულ გადააგიწყდათ. ერთი ბორნის გაკეთება უნდოდათ და ორ კლასიან სკოლის დაარსება, მაგრამ დრო აღარა ჰყოფნით საამისოდ. საქმე ის არის, რომ წელს გაზაფხულზე სოფ. ხოვლიდან კავთისხევში გადმოვიდა ორმოცი კაცი და გამოაცხადეს შემდეგი: „ჩვენ დავდევთ დასაჭერად სამს ჩვენ სოფლიდან გავარდნილ ყაჩაღს, და თუ სადმე შეხვდეთ, დაიჭირეთ და გარდაეცით ბოქაულსაო. მართლაც, არ გაუვლია პატარა ხანს, რომ სოფელში გაჩნდა ერთი გავარდნილი, რადგან იმას დასდევდნენ, მაგრამ მან არ გამოამჟღავნა თავისი ვინაობა, პირიქით დაიწყო ლაპარაკი, რომ მე ბოქაულმა გამომგზავნა თქვენთან, რომ ... დასდევდეთ ყაჩაღებს, რადგან ... დაჭერილთა ... მე ... ლაპარაკს დაესწრნენ ზოგნი. ზოგიერთნი ისეთიც, რომელნიც უეჭველად გადასცემდნენ ბოქაულს გავარდნილ კაცის სოფელში ყოფნას, ამიტომ ხალხმა აიღო და თვითონ გადასცა უკანასკნელი ბოქაულს. რასაკვირველია, ეს გაიგეს დაჭერილის ამხანაგებმა მოვიდნენ სოფელში და სიკვდილით ემუქრებოდნენ ერთს, რომელმაც ბოქაულთან გადაიყვანა იმათი ამხანაგი, თანაც დაუმატეს: „ჩვენ წითელი რაზმელები ვართო, ხალხისთვის თავსა ვდებთო და თქვენ კი მთავრობას მიეცით ხელში ჩვენი ამხანაგიო“. მაშინ გადამყვანი მივიდა მოსულებთან და დაწვრილებით უამბო იმათის ამხანაგის დაჭერის ისტორია. ისინიც დაშოშმინდნენ და შეურიგდნენ გადამყვანს, მაგრამ ერთმა, ს. კავთისხევისვე მცხოვრებმა, სახელად ბაკონა კავთიაშვილმა, რომელსაც პირადი ინტერესები ჰქონდა გადამყვანთან, დაუწყო იმათ წასისინება: „როგორ თუ თქვენ მაგას შეურიგდით? მაგან თქვენი ამხანაგი მთავრობას გადასცა და თქვენ კი აპატიეთო“. იმდენი ჰქნა, რომ ხელ მეორედ დაუწყეს სასიკვდილოდ დევნა. ამავე ბაკონამ მიუჩინა იმათ მეორე ამხანაგი და იარაღის საშოვნელად გაჰყვა სოფ. წინარეხში, მაგრამ იქ ვერა მიიღო რა. შემდეგ მიუვარდნენ სა—ძეს თოფის წასართმევად, მაგრამ ვერას გახდნენ. გამოჯავრებულთ მეორე დღეს ძალზე სცემეს დიდის კეტებით სა—ძესთან მომუშავე კაცებს. ამის შემდეგ სოფლის მოთავეები შეიყარნენ და შეუთვალეს მოსულებს სოფლიდან წასვლა, მაგრამ ისინი ხელმეორედ ასულიყვნენ წინარეხში და მუქარით თხოულობდნენ იარაღს, თანაც ამბობდნენ, ჩვენ კავთისხევის მოთავენი უნდა ამოვწყვიტოთ, რადგან ისინი ჩვენ, რაზმელებს, გვემუქრებიანო. (აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ვაჟბატონები ყოფილ წითელ რაზმში არც კი რეულან). წინარეხელებმა აცნობეს ეს ამბავი კავთისხეველებს, უკანასკნელნი შეგროვდნენ, დაედევნენ და ერთ ვენახში დაიჭირეს ორი „რაზმელი“ და ბაკონა, მეორე კი გაექცათ. სანამ ხალხი გამოჰკითხავდა და გაასამართლებდა დაჭერილებს, ბოქაულს უკვე გაეგო დაჭერის ამბავი და ყაზახები გამოეგზავნა. ორი კაცი ყაზახებმა წაიყვანეს, ხოლო ბაკონა თავის უბანში მცხოვრებთა თავმდებობით, რომ უკანასკნელი აღარაფერში არ გაერევა და ყაჩაღებთან მოსპობს სიარულს, ხალხმა გაუშვა. მაგრამ მწარედ მოსტყუვდა ხალხი დაჭერილნი მეორე დღესვე თავისუფლად დათარეშობდნენ. იმათ ისევ შეუერთდა წინად ხალხის ხელიდან გაქცეული ამხანაგი. ბაკონაც ისევ იმათთან დადის. ვისაც მოსწრობენ კავთისხეველს, ძალზე სცემენ. ამ წინაზე მოუსწრეთ სოფ. ნოსტეში კავთისხეველ მწყემსი გ. გუგუნაშვილი და ისე სცემათ, რომ უკანასკნელი მეორე დღეს გარდაიცვალა. ამბობენ, კავთისხევსა და ახლო მახლო სოფლებში ეგზეკუცია ჩადგებაო. აი, ასეთ პირობებში ჩააგდო სამმა-ოთხმა კაცმა მთელი სოფელი.

**კავთისხეველი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით, მადლობა გამოუცხადოთ იმათ, რომელთაც ფულით დახმარება გაუწიეს სოფელ ბაჯში დასაარსებელ ბიბლიოთეკას. სია შემომწირველთა;

თ. გძელიძე 20 კ., გ. დვალი 50 კ., ა. არარატოვ 20 კ., ქავთარაძე 10 კ., გ. დემუროვი 20 კ., ე. ტურაბელიძე 20 კ., პოგოსოვი 10 კ., ა. ნატაბელიძე 20 კ., გ. ბეგიჯანოვ 40 კ., ს. ფოჩხიძე 20 კ., დ. შარაბიძე 20 კ., მ. იოსებიძე 20 კ., გ. ტარასოვი 20 კ., ა. ზურაბოვი 20 კ., ა. ნაცვალოვი 10 კ., მამედ მირზა-ახმადოვი 5 კ., მატრასოვი 10 კ., ი. სააკოვი 5 კ., ა. არუთინოვი 10 კ., კ. მამულაძე 20 კ., ს. რამანიძე 10 კ., გ. აივაზოვი 10 კ., ს. გოცირიძე 10 კ., ა. ანკალაძე 20 კ., მიხაილ პაპ. 10 კ., ლ. მაჩაბელიძე 10 კ., გ. ხარაზიშვილი 25 კ., გ. გოლაძეზოვი 20 კ., ი. ცაგურია 2 მ., ვ. ქელაძე 50 კ., ა. მაისაშვილი 10 კ., ს. სანიკიძე 50 კ., შ. ავეტიკოვ 20 კ., ვ. ტერტოკოშვილი 30 კ., მ. ტომარაძე 50 კ., ა. თხელიძე 20 კ., გ. ლაპარიძე 5., ე. სოლოლაშვილი 20 კ., გ. შილაკაძე 10 კ., ტ. ერაძე 20 კ., მაისურაძე 20 კ., Амирхановъ 11 к., ი. პეტრუზოვ 10 კ., გ. სხირტლაძე 10 კ., კ. არჩვაძე 10 კ., ა. ახნაზაროვ 20 კ., გ. ალიხანოვ 10 კ. ნ. არჩვაძე 10 კ., ა. ალიხანოვ 20 კ., ლ. სხირტლაძე 20 კ., ა. არუხიანც 20 კ., პეტროვ ტიმოფეევ 20 კ., გ. ლიპარიძე 20 კ., ლ. ზუბლაძე 40 კ., დ. დარახველიძე 50 კ., გ. გოცირიძე 50 კ., მ. ასლანოვ 20 კ. ვ. ძევველოვი 40 კ.,

ტალაძე 20 კ., მ. მაცაბერიძე 30 კ., ს. კევლიშვილი 10 კ., ხ. სამსონოვ 10 კ., გ. ხუბლაშვილი 5 კ., ს. გძელიშვილი 10 კ., გ. სარქისიანც 50 კ., ი. თეთრაძე 20 კ., მ. ცხვედაძე 10 კ., მაისურაძე 20კ. ა. ტერაზაროვი 50 კ., ს. სტეფანოვი 30 კ., თ. ჯიბლაძე 15 კ., პ. ლაზარტყვა 20 კ., მ. ჯოხაძე 15 კ., ი. მურადიანც 30 კ., ნ. თედიევ 10 კ., ხ. ბაბიმოვი 15 კ., მ. ხაჩატუროვი 20 კ. პ. ნიკოლაშვილი 20 კ., გ. ხოჯაევი 10 კ., ა. გედევანოვი 20 კ., ო. მარტიროსოვი 20 კ., შ. ხოჯიევი 20 კ., ა. ბერიძე 20 კ., ა. შიხაშვილი 20 კ., ი. არიევი 20 კ, ი. ზუკაკიშვილი 30 კ., ა. ბუნტური 20 კ., ა. ხმალაძე 30 კ., სარდიონ გაგნიძე 10 კ., ბესო დვალიძე 50 კ., ვანო მაჩაიძე 5 კ., ვაკიმა კარმილოვ 50 კ., დიანოზ კახელიძე 20 კ., თადეოზ ტეროგანეზოვ 20 კ., დარჩო ტიტიჩევი 20 კ., გელმანტი აგლაძე 20 კ., იკს... 50 კ., ავეტიკ გიქულოვი 20 კ., იქს... 15 კ., იქს... 10 კ., ონისიმე გაგრიშვილი 10 კ., სანდრო დავითულიანი 20 კ., იქს... 10 კ., სერგო შერმაზოლოვი 20 კ., პეტრო საკოვ 15 კ., ალექსანდრ საკოვ 10 კ., სამსონ ნერევო 50 კ., ნიკოლაი ძაგანია 30 კ., გიორგი დათუნაშვილი 20 კ.. სილო ნეფაიძე 10 კ,. სარიბეგოვ 30 კ., ალექსი დავლიშვილი 30 კ,, კარაპეტ ფოფინჯიანც 10 კ., სერგო საკოვ 10 კ,, არშაკ ვართანოვ 20 კ., გიგო დაულიშვილი 20 კ., კარაპეტ მარქაროვ 10 კ., დათა კეჩვალიძე 10 კ., პორფილ ჩაჩანიძე 20 კ, ნესტორ ნიკოლაშვილი 10 კ., მიხაკ კასუკაევ 10 კ., ნაპტიკოვ... 10 კ., იქს... 20 კ., ფაშა ფაბიევი 20 კ., შ. ისკარიანც 50 კ., ვ. ბაბასოვი 10 კ., ბახჩიევი 30 კ., იქს 10 კ., დ. მუსხელოვ 20 კ., დ. არუთინოვ 10 კ., ტ. ნაცაკანოვ 20 კ., თ. გორდეზიანი 15 კ., ს. ტომარაძე 20 კ., Мироковъ 40 к., Аракеловъ 50 к., არშაკ არუთინოვი 10 კ., ლ. გასპაროვ 20 კ., ალე 5 კ., ბაბაჯანოვი 20 კ., კ. კარელიშვილი 50 კ., ალიბეგელ 50 კ., ფ. მართეროვ 10 კ., ს. როსტომოვ 10 კ., ტ. ბალდასაროვ 20 კ., იქს 5 კ., ნ. მუხრაშვილი 20 კ., ე. სირბილაძე 10 კ., ი. სხირტლაძე 20 კ., ს. სულაძე 50 კ.. ა. კერესელიძე 30 კ., ტ. ომიაძე 20 კ., ხ. ანდრონიკოვ 20 კ., იქს 50 კ. სულ 34 მ. 21 კ.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

19 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** სამხედრო სასამართლომ ნარვის სართავ ქარხნის 8 მუშას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. იმათ აბრალებენ ფაბრიკის დირექტორის ნელცერის მოკვლას.

**ოდესა.** საღამოს 9 საათზე ოდესიდან გამოვიდა კიევისაკენ მიმავალი მსწრაფლი მატარებელი. მე-14 ვერსზე მატარებელს თავს დაესხა 15 კაცი. იმათ გზის დარაჯისთვის წინდაწინვე ხელ-ფეხი შეეკრათ. მატარებელს გასაჩერებელი ნიშანი მისცეს. მატარებელი გაჩერდა. მსწრაფლ დაიჭირეს მემანქანე და ხალხის შესაშინებლად ორივე მხრივ სროლა ასტეხეს. სროლის დროს მძიმედ დაიჭრა ერთი მგზავრი. დაიჭრა აგრეთვე ორი ჟანდარმი. კასსა დინამიტით ააფეთქეს, მაგრამ შიგ დოკუმენტების მეტი ვერაფერი იპოვნეს. საქონლის განყოფილებაში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა საქონლის ვაგონი და მეორე კლასის ვაგონის ნახევარი. საქონლის ვაგონის გაჩხრეკის შემდეგ უცნობებმა ორთქლ-მავალი მოხსნეს და მიიმალნენ.

**გროდნო.** ბუნდის მებრძოლმა ორგანიზაციამ ვაჭარს ფრანკს მოსთხოვა 500 მანეთი. ფრანკმა უარი უთხრა. 18 სექტემბერს თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს. მსროლელი შეიპყრეს. წაართვეს ბრაუნინგი და ასაფეთქებელი პატრონები.

**ბალტა.** ვოლტის მახლობლად შეიარაღებულთა ბრბო დაეცა ურმით მიმავალ ორმოც-და-ათ მგზავრს. მგზავრები გაძარცვეს, ზოგი დასჭრეს. სხვები გაიქცნენ და თავს უშველეს.

**ოდესა.** მსწრაფლ მატარებელზე თავდასხმის ამბავს დაწვრილებით ასე გადმოგვცემენ. მატარებელში იყო 200 კაცი მგზავრი. მათ შორის ქალიც ბევრი იყო. როცა მატარებელი გაჩერდა, სამი კაცი ორთქლმავალს შეახტა, სხვები ვაგონებში გაიფანტნენ და მგზავრები გააფრხილეს ფანჯრიდან არ გამოიხედოთო, დანარჩენთ სროლა ასტეხეს. გაისროლეს 200 ჯერ. ჟანდარმა და ზოგიერთ მგზავრებმაც სროლითვე გასცეს პასუხი. როცა მატარებელი გაჩერდა, მესამე კლასის ვაგონიდან ხუთი გადმოხტა და მძარცვავთ შეუერთდა. ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერმა კავერშინმა რამდენჯერმე ესროლა ბოროტმოქმედთ, ამბობენ, ერთი მათგანი მოკლულია და ამხანაგებმა წაიღესო. მძარცველები გარს შემოერტყნენ კავერშინს, ოცჯერ ესროლეს და 8 ტყვიით სასიკვდილოდ დასჭრეს. დასჭრეს აგრეთვე ბარგის დამრიგებელი და მეორე კლასის მგზავრი, ვაჭარი სოლოკევიჩი, რომელმაც ერთი ბოროტ-მოქმედი დასჭრა. მძარცვავებმა უბრძანეს საბარგო ვაგონის მგზავრებს ადგილები დაეცალათ, საბარგო ვაგონს ქვეშ დიდი ყუთი ამოდვეს და, რადგან ვერ დაამტვრიეს, დინამიტით ააფეთქეს, ყუთში იყო 4900 კვიტანცია ოდესის. სახელმწიფო ბანკისა და 100,000 მანეთის სხვა კვიტანცია. საბარგო ვაგონს ცეცხლი გაუჩნდა, ფოსტა თითქმის სულ დაიწვა. შემდეგ მძარცველებმა აიძულეს მემანქანე ისინი წაეყვანა. სამი ვერსი გაიარეს, ორთქლმავალი გააჩერებინეს და უბრძანეს რამდენიმე წუთი ადგილიდან არ დაძრულიყო და მიიმალნენ. თავდასხმა გაგრძელდა 8 წუთი. რამდენიმე ხნის შემდეგ მემანქანე გაეშურა მახლობელ სადგურზე და ყოველისფერი ტელეფონით შეატყობინა. დაზარალებული მატარებელი მგზავრებითურთ ოდესსაში დაბრუნდა. ხელ ახლა ახალი მატარებელი შეადგინეს და კიევქი გაისტუმრეს. ბოროტ-მოქმედთ კაზაკეში და სტრაჟნიკები დაადევნეს. გზაზე დაგდებული ვაგონები რამდენიმე საათის განმავლობაში იწოდნენ.

**ახტირკა.** პრიგოროდნი სლობოდის გლეხებმა საზოგადო მაღაზიიდან პურის ქურდები დაიჭირეს, ძლიერ სცემეს და მერე პოლიციას გარდასცეს. ერთი მათგანი გლეხებს გაექცა, მატარებელს ქვეშ ჩავარდა და გაისრისა.

**პეტერბურგი.** გამოაცხადეს განაჩენი სამხედრო ორგანიზაციის საქმის შესახებ, რომელიც დაიწყო 6 სექტემბერს. მიუსაჯეს: სამთო ინჟენერს მალოზემოვს 8 წლით კატორგა, 15 კაცს—კატორგა სხვა და სხვა ვადით, 4 კაცს 7 წლით, ორს გადასახლება და 16 კაცი გაამართლეს.

**ვარშავა.** ვსპალნი ქუჩაზე აღმოაჩინეს პოლონურ სოციალისტების პარტიის ფრაქციის ბიურო. აღმოაჩინეს 30 საპასპორტო ბლანკი, 21 სახელმწიფო ბეჭედი, არალეგალური ლიტერატურა და პარტიული მიწერ-მოწერა.

**ოდესა.** უკანასკნელ ცნობებით დამწვარ საბარგო ვაგონში იყო 28 პარკი უბრალო და საგანგებო კორესპონდენციისა, იმათგან გადარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც ოდესიდან ქ. ვინნიცაში მიჰქონდათ. კასსა მთელია, მხოლოდ ცოტად გათუთქულია. კასსაში ინახებოდა 7000 მანეთი ქაღალდის ფული, ბილეთები და დოკუმენტები დაიწვა. კასაში დამწვარი ქაღალდის ფულის ფერფლი იპოვნეს. ამ მატარებლით 200,000 მანეთის გაგზავნა უნდოდათ, მაგრამ ისევ გადაიფიქრეს. ოდესსის ახლო-მახლო 6 საეჭვო პირი დაიჭირეს. ჟანდარმთა უნტერ ოფიცერი კავერშინი გარდაიცვალა.

**რიგა.** იაროსლავში დააპატიმრეს ვიდაც ლატიში, რომელიც სხვისი სახელით ცხოვრობდა. დაპატიმრებული რიგაში გამოგზავნეს. ის აღმოჩნდა ედუარდ როსტოკი, რომელმაც შარშან ტრამვაის ვაგონს ყუმბარა ესროლა და პოლიციელების წიაღმდეგაც მოქმედებდა.

**ვარშავა.** ბუნდის პარტიის დაარსების ათის წლის თავზე ვარშაველი ბუნდისტები შეიკრიბნენ და კონცერტის მომიზეზებით კრება გამართეს. საიდუმლო პოლიციამ გაუგო და 69 კაცი შეიპყრო. შეპყრობილთა შორის პარტიის ხელმძღვანელები არიან.

**სევასტოპოლი.** გრეჩესკი ვიწრო ქუჩაზე ივანოვის სახლში გლეხმა ბოლდირევმა ბრაუნინგი ესროლა და მძიმედ დაჭრა უბნის ზედამხედველი, რომელიც მასთან მივიდა და მისი პასპორტის შემოწმება მოინდომა. მსროლელი შეიპყრეს. მის სახლში იპოვნეს 11 მომზადებული ყუმბარა, რამდენიმე რევოლვერი და ასაფეთქებელი მასალა.

**ბახმუტი.** შჩერბინოვის მადნებში, მუშების სადგომში ყუმბარა შეაგდეს. სახლის ერთი ნაწილი დანგრეულია. ერთი მუშა მოკლულია და მეორე დაჭრილი.

**ნოვოჩერკასკი.** ყასაბს ბელიკოვზე თავს დასხმის დროს ატყდა სროლა მძარცავთა და პოლიციელთა შორის. სამი მძარცავი დაჭრილია, ერთი უვნებლად გადარჩა, ორი მოჰკლულია, მეშვიდე გაიქცა. პოლიციელთაგან არავინ არ დაშავებულა.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო უნივერსიტეტებში მიიღონ ნორმაზე მეტი ებრაელები, მხოლოდ იმ პირობით, რომ საერთო ზომას არ გადააჭარბონ და ქრისტიანთა ინტერესი არ შელახონ.

**ჩერნიგოვი.** სოფ. მოროზოვკაში მემამულის ფენენკოს სახლ-კარს დაეცნენ. დასჭრეს ფენენკოს და, და ერთი მუშა.

**პონევეჟი.** მიწათ მომწესრიგებელ კომისიას გრაფ ტიშკევიჩმა შეაძლია თავისი სამაიაროტო მამული ბირჟი, ზომით 10,000 დესეტინა.

**ჩერნიგოვი.** სოფ. ხოროშნაში ცეცხლმა გაანადგურა 28 სახლი. დაიწვა აგრეთვე მომკილი პური. ზარალი საგრძნობელია.

**უ ც ხ ო ე თ შ ი**

19 სექტემბერი.

**პარიზი.** წყალ-დიდობით დაზარალებული ადგილები ინახულა პრეზიდენტმა ფალიერმა.

**ჰეინსლი** (მოტლანდია). მაფის სართავ ფაბრიკაში 400 მუშა ქალი გაიფიცა. პოლიციამ ძლივს შესძლო წეს-რიგის აღდგენა. დირექციამ ფაბრიკა დახურა. ფაბრიკაში 5000 კაცი მუშაობდა.

**ლონდონი.** ტოკიოდან მიღებულ ცნობით, კორეიაში წეს-რიგი აღდგენილ იქნა. კორეელებს მოუკლეს 800 კაცი და დაუჭრეს რამდენიმე ათასი. იაპონელებს აჯანყების ჩაქრობის დროს მოუკლეს 15 და დაუჭრეს 40 კაცი.

**თეირანი.** 57 პრინცმა და აზნაურმა ფიცი მიიღო კონსტიტუციის ერთგულებაზე.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. აბელიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს**: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამავზრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს**: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს**: 1) ნაშუადღევს 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან**: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან**: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან**: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან**: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევს 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ღოგედ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგ. და ვენერიული (სიფილისი).

**ფ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ზაზანაშვილი**: 10—11 ს. საზებრო, ქალებისა და ბავშვების.

**გ. გ. ბეჟუაშვილი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ქირურგ. და საზარდ.

**ა. მ. პეტიანოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელეიშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. გარაპეტიანცი**: 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი**; 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ზ ი. გრიგორიანი**: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—149)

## ქუთაისში

**ნაჭრობით ვაჭრობის განყოფილება**

## სავაჭრო სახლი

ს. მ. კირაკოზოვისა, ზ. ვ. ოვანოვის და ამხ.-სა,

ქუთაისი, გ-მნაზიის ქუჩა, სახლი თ. დ. თუმანიშვილისა, ბულვარის პირდაპირ

აუწყებს ქ. ქუთაისისა და მის მიდამოების პატივცემულ საზოგადოებას, რომ მომავალ სეზონისათვის მივიღეთ აუარებელი საამდროვო საზ-ფაბრიკო საქონელი:

1) მთლიანი მოქარგული და ნაქსოვიანი ტანთსაცმელი,

2) დრაპი და პლიუში ქალთა ზედატანსთვის,

3) შალი და სხვა და სხვა საქონელი ტანისამოსისათვის,

4) ტილო და სუფრა-სალფეტკი,

5) ბამბაზია და ბამბის ქსოვილი.

| | | |
|---|---|---|
| დრაპი | პლიუში | ცხვირსახოცი |
| სუქნები | ტრიკო | ხავერდი |
| პლედები | ფარდაგები | მაუდი |
| ბრეშუმი | საგნები | საფენები |

შევაჭრება არ შეიძლება. (6—1)

## მღვდლობის, დიაკონობის და მედავითნეობის

**ხარისხთა მისაღებად**

ამზადებენ ორი-სამი სასულიერო პირნი ერთად. მეცადინეობა გასტანს არა უმეტეს ხუთი-ექვსი თვისა და ეღირება იგი სამღვდელოთათვის—60 მან., სამთავროებისათვის—40 მან., ხოლო სადიაკვნოებისათვის—20 მ. რაც მალე მოიყრის ათიოდე მსურველი თავს, იმდენად მალე გაიხსნება სწავლა. დაწვრილებითი პირობანი იკითხონ მღვდელ-მონაზონ **იოანესთან**, (5—323—3) დარიის მონასტერში.

**გამოვიდა და ისყიდება**

სკოლებში სახმარებელი ერთხმიანი

**ქართული საეკლესიო**

## გალობა

(მწუხრით)

ნოტებზედ გადაღებული მღ **ფილიმონ კარბელაშვილის**-მიერ ფასი 15 კ.

უმთავრესი საწყობი ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

(5—327—1)

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

**ი ყ ი დ ე ბ ა**

## ილია ჭავჭავაძის ბიუსტი

**ფასი 1 მანეთი**

წმინდა მოგება გადადებულია ილია ჭავჭავაძის ფონდისათვის. (3—6.—3)

# ТЕТРАДИ

Для прямого русскаго письма, სახმარებელი იაკობ გოგებაშვილის Русское Слово-სთან, ისყიდება თბილისში გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ფასი 3 კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, ორ-კაპეიკ ნახევრად დაეთმობა რვეული.

(5—519—5)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება გალიისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—15)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

## „დროების კალენდარი“

### დამდეგი 1908 წლისათვის.

**„დროების კალენდარი“ შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს“ იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

### კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში“ დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა**: კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი—7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უფასოდ**

დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის“ რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის“** გამომცემელს.

ვალერიან გუნიას რედაქტორობით და გამომცემლობით

**ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი**

**26 აგვისტოს გამოვა**

## ნიშადური

**კარიკატურებით**

**პ რ ო გ რ ა მ ა**

2) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარ-გარედ 3) ფელეტონები ლექსად თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილიუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნაატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

**ფასი: წლით 5 მან. ½ წლით 3 მან., ცალკე ნომერი 10 კაპ.**

**ხელის მოწერა** ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო ჟურნალის ბედ იღბალი გამოურკვეველია.

<·> საჭირონი არიან <·>

**პროვინციიდან პირიანი აგენტები და შხამიანი თანამშრომლები**

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია**

ძისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа. რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ. № 9 ვერაზე.

## ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—95)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. ...) ნიკოლოზის ქ. № 6.